6241/3-23/23 2 18082023

6241/3-23/23
18-08-2023

სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორს

ალექსანდრე კუტიბაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 27 ივლისს, მოგმართეთ პარლამენტის წევრის კითხვით (№5791/3-23/23), რომელზეც პასუხი არ მიგვიღია.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის კითხვაზე 10 დღის ვადაში სრული წერილობითი პასუხის გაცემა სავალდებულოა.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გთხოვთ, დროულად მოგვაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

1. რომელ მუნიციპალიტეტებში არის რეანიმობილი და რა პრინციპით ხდება მათი განაწილება?

2. რამდენად არის საკმარისი თქვენს სისტემაში არსებული რეანიმობილების რაოდენობა და როგორ ხდება კოორდინაცია მუნიციპალიტეტებში არსებულ კერო სამედიცინო დაწესებულებებთან მათი რეანიმობილების გამოყენების კუთხით?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ იმ მუნიციპალიტეტების სია, სადაც არ არის რეანიმობილი და რომელი მუნიციპალიტეტებიდან ხდება მისი დაფარვა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია დეკანოიძე